# მშობლის ჰიპერმზრუნველობის გავლენა მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხზე

ნათია ჩუბინიძე

თამარი ბაკურაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმღვანელი: ანა მიქიაშვილი, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

# მადლობა

მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენი თემის ხელმძღვანელს, ანა მიქიაშვილს იმ დახმარებისათვის, რაც თემაზე მუშაობის ფარგლებში გაგვიწია. ანა აქტიურად იყო ჩართული კვლევაზე მუშაობის დაწყების პირველივე დღეებიდან. მისმა რეკომენდაციებმა და უკუკავშირმა დიდი დახმარება გაგვიწია. მადლობას ვუხდით სსიპ ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლას კვლევაში ჩართვისა და აქტიური თანამშრომლობისათვის. სკოლის დირექტორს, სპეციალურ მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს. ასევე, გვინდა მადლობა გადავუხადოთ მარიამ მიქიაშვილს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისათვის.

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ჩუბინიძე

თამარი ბაკურაძე

24/06/22

# აბსტრაქტი

საზოგადოების მხრიდან ხშირია იმ მშობლების გაკიცხვის ფაქტები, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ იჩენენ შვილების მიმართ. ასეთი მშობელი არც თუ ისე იშვიათად ექცევა საყოველთაო გაკიცხვის საგნად. მაგრამ იშვიათად ვსაუბრბთ იმაზე, თუ რა ზიანის მომტანი შესაძლოა იყოს ბავშვისათვის, მისი განვითარებისა და პიროვნებად ფორმირებისათვის ზემზრუნველობა, იგივე ჰიპერმზრუნველობა, რაც გულისხმობს ზღვარგადასულ ყურადღებას. ჰიპერმზრუნველობის შედეგები იმაზე არანაკლებ საზიანო შეიძლება აღმჩნდეს, ვიდრე უყურადღებობის.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კვლევის ანგარიშს თემაზე: *მშობლის ჰიპერმზრუნველობის გავლენა მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხზე.* რომელშიც ჩართული იყო სსიპ ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები და სპეციალური მასწავლებლები. კვლევა მოიცავდა 4 ეტაპს: დიაგნოსტიკური ფაზა, ინტერვენციის დაგეგმვა, ინტერვენციის განხორციელება და შეფასება.

აღნიშნული კვლევის მიზანი იყო აღმოგვეჩნა ჰიპერმზრუნველი მშობელი, განგვესაზღვრა რა გავლენა მოახდინა მშობლის ჰიპერმზრუნველობამ მხედველობის დარღვევის მქონე კონკრეტულ მოსწავლეზე და დაგვეგეგმა და განგვეხრციელებინა შესაბამისი ინტერვენცია.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი - სიღრმისეული ინტერვიუ, კერძოდ ინდივიდუალური ინტერვიუ მშობლებთან და სპეციალურ მასწავლებლებთან და მოსწავლის უნარების შეფასებისათვის - დაკვირვება. მიღებული ინფორმაციების საფუძველზე ერთობლივად შევიმუშავეთ და განვახორციელეთ ის ინტერვენციები, რომელთა დახმარებითაც მოხდებოდა მოსწავლეთა დამუკიდებელი ცხვრების ხელშეწყობა და მშობლის გაძლიერება, მკვლევრებს კი საშუალებას მოგვცემდა განგვესაზღვრა ეფექტურობა.

ინტერვენციის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა მოსწავლეებში იმ უნარების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ დამოუკიდებლობას. დასასრულს

შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებით მშობელს შეეძლება თავად შეუწყოს ხელი შვილის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას.

არსებული ნაშრომი იმითაც არის საინტერესო, რომ საქართველოში ამ კუთხით კვლევები თითქმის არ მოიპოვება. ჰიპერმზრუნველობის გავლენა მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეზე არა მხოლოდ საქართველოშია გამოუკვლეველი, არამედ სხვა ბევრ განვიტარებულ ქვეყანაში.

**საძიებო სიტყვები:** აღზრდის სტილი; ჰიპერმზრუნველობა; მშობლის ჰიპერმზრუნველობა; მხედველობის დარღვევა; მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლის სწავლება; დამოუკიდებლობა; ფუნქციური დამოუკიდებლობა.

# Abstract

There are frequent cases of public reprimand of parents who do not pay proper attention to their children. Such a parent is not infrequently the subject of universal rebuke. There are frequent cases of public reprimand of parents who do not pay proper attention to their children. Such a parent is not infrequently the subject of universal rebuke. But we seldom talk about how detrimental can be to a child, overprotection for children development and personality formation, the same hyper-care that implies excessive attention. The consequences of hyper-care can be no less damaging than a child neglectful.

The present paper presents a research report on the topic: The Impact of Parental Overprotection on the Degree of Independence of a Student with Visual Impairment. Which involved students of №202 public school in Tbilisi, their parents and special teachers. The study included 4 phases: diagnostic phase, intervention planning, intervention implementation and evaluation.

The purpose of this study was to identify a overprotective parent, to determine the impact of parental overprotection on a particular student with a visual impairment, and to plan and implement appropriate intervention.

Qualitative research method was used in the research process - in-depth interviews, in particular individual interviews with parents and special teachers, to assess the skills of the student - observation and also the paper includes quantitative research. Based on the information we received, we jointly developed and implemented interventions that would help support independent student sheep and parent empowerment, while allowing researchers to determine effectiveness of intervention.

The analysis of the intervention revealed the development of skills in students that will contribute to their independence. At the end, recommendations were developed, according to which the parent can contribute to improving the degree of independence of the child.

The existing paper is also interesting in that research in this field is almost non-existent in Georgia. The impact of overprotection on a student with a visual impairment is unexplored not only in Georgia but also in many other developed countries.

**Search Keywords:** Parenting Styles; Overprotection; Parental Overprotection; Visual Impairment; Teaching Students with Visual Impairments; Independence; The Functional Independence.